ოქმი:**ო31. 31263083**

თარიღი:**04/11/2026**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ღრმაღელის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის, ბესიკი კვაჭანტირაძის მოსახლეობასთან შეხვედრისა და 2025 წლის 30 ოქტომბრიდან დღემდე გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენის ოქმი

მუნიციპალიტეტის დასახელება: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი.

სოფელი, თემი, დაბა: ღრმაღელის ადმინისტრაციული ერთეული.

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 30.10.2026 წელი 14:00 საათი.

შეხვედრას ესწრებოდნენ: ღრმაღელის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი ბესიკი კვაჭანტირაძე, მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლი ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულში კახა თედორაძე, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი(სამდივნოს ხელმძღვანელი) ნიკოლოზ კოზანაშვილი, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ღრმაღელის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი **ბესიკი კვაჭანტირაძე** მიესალმა მოწვეულ სტუმრებს და მადლობა გადაუხადა ადგილობრივ მოსახლეობას, რომ გამონახეს დრო მასთან შესახვედრად. ამის შემდეგ, აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული საქმიანობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი - საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის ჩაბარება. მან აღნიშნა, რომ უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგა 2025 წ. 30 ოქტომბერს. არის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის და ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ წევრი. როგორც საკრებულოს წევრი, აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს მიერ კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტების მიღება-დამტკიცებაში. მისი თქმით, არის გამოწვევები, რომელსაც უმკლავდებიან, ხოლო გარკვეული პრობლემის აღმოფხვრა მოხდება ეტაპობრივად. ასევე, როგორც მაჟორიტარ დეპუტატს, ყოველდღიურ რეჟიმში უწევს მოსახლეობასთან შეხვედრა და მათი პრობლემური საკითხების განხილვა, რომლის გაჟღერებაც ხდება კომისიებისა და საკრებულოს სხდომებზე. ასევე, მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში, შეძლებისდაგვარად ხდება მოქალაქეებისთვის დახმარების გაწევა ადგილობრივ აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ერთად.

ამის შემდეგ, ღრმაღელის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარმა დეპუტატმა მოსახლეობას მიაწოდა ინფორმაცია 2025 წლის 30 ოქტომბრიდან დღემდე განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ. კერძოდ:

სოფელ ღრმაღელეში სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შედეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

-შემოიღობა მინი სტადიონი და გაიწმინდა მის ირგვლივ სანიაღვრე არხი, ასევე, გაკეთდა მინი სტადიონი ,,გურნეთზე“;

-,,მამულიანში“ იწმინდება ცენტრალური არხი;

-გაკეთდა რადენიმე ხიდი;

-გაიხსნა ღრაღელის საბავშვო ბაღი;

-მოეწყო გარე განათება სასაფლაოს გორაზე ,,ჭედიებთან“;

-ღრმაღელის სკოლაში მერიის მიერ კეთდება ბიბლიოთეკა;

-დაიყარა ასფალტის ანაფრეზი ,,ქვიშიანზე“ და ,,გურნეთზე;

სოფელ ორმეთში სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შედეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

-კვარაცხელიას აღმართზე დაიგო ბეტონის გზა;

-გაკეთდა ხიდი მოქიებთან;

-ჩატარდა გზის და ხიდის გამაგრებითი სამუშაოები რუსიძის ეზოსთან;

-დაიდგა სამი ერთეული ტრანსფორმატორი;

-მალხაზი ახალაიასთან გაკეთდა მილხიდი;

-მიმდინარე წლის დეკემბრის ბოლომდე უნდა დასრულდეს წყალმომარაგების პროექტი (80 ოჯახი);

სოფელ ომფარეთში განხორციელდა შედეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

-დაიგო ბეტონის გზა ზედა ომფარეთში, ასევე, თოდუებთან და ფუტკარაძეებთან;

-რამდენიმე ადგილზე კეთილმოეწყო გაბიონი;

-მიმდინარეობს გზის ასფალტირება 3,6 კმ. სიგრძის მონაკვეთზე;

სოფელ წყალწმინდაში განხორციელდა შედეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

-გაკეთდა ხიდი მითაიშვილის სახლთან;

-დამონტაჟდა გარე განათება რამდენიმე ლოკაციაზე;

-დაიგო ბეტონის გზა;

-რამდენიმე ადგილზე დაიყარა ასფალტის ანაფრეზი;

-მოწესრიგდა და შეიღობა ყვავილნარში სასაფალო და მისასვლელი გზა;

-წყალწმინდის სკოლაში მერიის მიერ მოწესრგიდა სახურავი და შეძენილი იქნა წყლის ტუმბო;

-იწყება მინი სტადიონის მშენებლობა;

გარდა ამისა, ღრმაღელის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარმა დეპუტატმა აღნიშნა, რომ სოციალური და ერთჯერადი დახმარება გაეწია 75 ადამიანს, ასევე, სტიქიის დროს დაზარალებულ 86 ოჯახს. მისი განმარტებით, მომდევნო საანგარიშო პერიოდში ძირითადი ყურადღება დაეთმობა:
-შიდა სასოფლო გზების კეთილმოწყობას და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას;
-გაბიონების, სანიაღვრე არხების, ხიდებისა და მილხიდების მოწყობას;
-წყალმომარაგების საკითხებს;
-გარე განათებას;
-დასუფთავებას და კეთილმოწყობას;
-მოსახლეობის პრობლემების დროულად შესწავლას და შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობას.

ამის შემდეგ, საკრებულოს წევრმა ადგილობრივ მოსახლეობას მიმართა თხოვნით, რომ მიეწოდებინათ ინფორმაცია, როგორც ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული, ასევე პირადი პრობლემების შესახებ.

მოქალაქე **ლალი ხომერიკმა** აღნიშნა, რომ სტიქიის შედეგად დაუზიანდა სახლი, ადგილზე ნამყოფია გეოლოგები, მაგრამ დღემდე არანაირი რეაგირება არ ყოფილა, რაზეც მაჟორიტარმა დეპუტატმა, **ბესიკი კვაჭანტირაძემ** განმარტა, რომ აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია წერილობით მიწოდებულია შესაბამის უწყებაში.

მოქალაქე **ციცინო ტიკარაძემ** აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის ოქტომბრის ბოლოსთვის სასმელი წყლის მიწოდება უნდა მოგვარებულიყო, მაგრამ დაპირება არ შესრულებულა, რაზეც საკრებულოს წევრმა **ბესიკ კვაჭანტირაძემ** და მერის წარმომადგენლმა ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულში **კახა თედორაძემ** განმარტეს, რომ ჯერ-ჯერობით ეს არის ტექნიკური წყალი, რის შესახებაც ინფორმაცია მიწოდებულია შესაბამისი სამსახურისთვის, მოხდება ფილტრის დაყენება და მოწესრიგდება სასმელი წყლის მიწოდება.

მოქალაქე **დათო კუპრაძემ** თხოვნით მიმართა მაჟორიტარ დეპუტატს და მერის წარმომადგენლს ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულში იმის თაობაზე, რომ მართალია დაიგო ბეტონის გზა, მაგრამ შენგელიების უბანში დარჩენილია 50-60 მეტრი სიგრძის გზის მონაკვეთი. ამასთან დაკავშირებით, ხელისუფლების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ეს შედარებით მცირე მონაკვეთია და პრობლემა მოგვარებადია.

ასევე, მოქალაქე **მზევინარ მემიაძემ** თხოვნით მიმართა მაჟორიტარ დეპუტატს და მერის წარმომადგენლს ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულში, რომ მის სახლთან გასაკეთებელია მილხიდი.

შეხვედრის დასასრულს, **ბესიკი კვაჭანტირაძემ** კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა თითოეულ მონაწილეს მობრძანებისა და აქტიურობისთვის, ასევე, საკრებულოს აპარატის წარმომადგენლებს. მოუწოდა ადგილობრივ მოსახლეობას, რომ ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხის შესახებ ინფორმაცია მიაწოდონ დროულად და აღნიშნა, რომ როგორც საკრებულოს წევრი, ძალ - ღონეს არ დაიშურებს, რათა მისი სადეპუტატო უფლებამოსილების პერიოდში მაქსიმალურად გადაწყდეს ყველა ის

პრობლემა, რომელიც აწუხებს ღრმაღელის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობას ინფრასტრუქტურული და სოციალური კუთხით. ასევე, აქტიურ მუშაობას გააგრძელებს იმისათვის, რომ მომდევნო წლები უფრო წარმატებული და ნაყოფიერი იყოს ადგილობრივი მოსახლეობისათვის.
პა

ბესიკი კვაჭანტირაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს წევრი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

